თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟამად განჯის მცველის დიდებული ვეზირისა და პატივცემული, ბედნიერი მუსტაფა ფაშას უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ იმყოფება აღრიცხული ჯარისკაცები. გაცემული ფირმანის საფუძველზე 500 ჯარისკაცის — სილაჰდართა დამატებითი ჯარისკაცების, კარავის, წყლის გადასაზიდი საკას, ჩალვადართა საჯინიბოს და სხვა გადაკვეთილი პროვიანტის ბოძების ბრძანების სათხოვნელად არზუჰალი არსებობს. ადრე აღწერილი ჯარისკაცებისათვის დასამატებელი: კარავი, ცხვრის ტყავი, ონკანი, წყლის გადასაზიდი საკა, ჩალვადართა საჯინიბო, კეხები, ალათა გზის ხარჯები როდესაც დაიანგარიშეს, სულ — 683 ყურუში შეადგინა და იგი მთავარი მოანგარიშის მიერ დაანგარიშებულ და ველზე მიწერილ იქნა. როდესაც ეს სახელმწიფოს ეცნობა, აღნიშნული პროვიანტები მათი ალათა მარიფათით შეძენილ იქნა და სათანადო თადარიგის დაჰერით მთავარ მოანგარიშესთან იქნა რეგისტრირებული. აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება, 29 საფარი, 1141 წელი[3].

ახლი გაიცა 29 საფარს, 1141 წლისა.

რეგისტრატორი.

№ 51

ის (ალაჰი) შეეწიოს

$\frac{219\ 1}{218}$

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი

---

[2] 1141 წლის 27 საფარი — 2. 10. 1728.

[3] 29 საფარი, 1141 წელი — 4. 10. 1728.

სამეუფეო კარის იანიჩრები კანონიერად ითვლებიან. ჩოხას თანხის გოძების და მიცემის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1141 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1142 წლის ერბაინის მიწურულამდე[1].

ბარანი — 218 ცალი.

ამჟამად გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 218 ჯარისკაცის 1141 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1142 წლის ერბაინამდე მხოლოდ 218 ჯარისკაცია. მათთვის ბარანის ჩოხა კანონიერია.

მთავარი მოანგარიშის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერი დაანგარიშებულ იქნეს. სარგო 1141 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1142 წლის ერბაინის მიწურულამდე. უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ქათიბის ველზე გაკეთებული მინაწერისა და არზუჰალის საფუძველზე.

ჯარისკაცი — 218.
ჩოხა ბარანი თოფი — 218.
თითოეული — 240 ახჩაა.
ახჩა — 52320.

გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ, სარგო 1140 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1141 წლის ერბაინის მიწურულამდე[2]. თესქერე გაიცა 29 შაბანს 1141 წლისა[3].

ჯარისკაცები — 218.
ბარანის ჩოხა თოფი — 218. თითოეული 240 ახჩაა.
ახჩა — 52320.

თელხისი.

---

[1] 1141 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1142 წლის ერბაინის მიწურულამდე — 3. 12. 1728 — 30. 1. 1730.

[2] 1140 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1141 წლის ერბაინის მიწურულამდე — 15. 12. 1727 — 13. 1. 1729.

[3] შაბანი 1141 წელი — 30. 3. 1729.

გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების გასული წლის მიხედვით გამოსაზამთრებელი თანხისთვის ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით 141 წლის ერბაინიდან 142 წლის ერბაინის მიწურულამდე გამოსაზამთრებელი თანხა, როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 52320 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა.

22 ჯემაზი ულ-ეველი წელი 1142[4].

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერეს ბრძანების შესრულება მოითხოვეს, ბრძანება. 27 ჯემაზი ულ-ეველი წელი 142[5].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ გორის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 141 წლის[6] გამოსაზამთრებელი თანხის გადახდის შესახებ არზუჰალი გაიცა. იანიჩართა ქათიბის მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე, 218 ჯარისკაცი იანიჩრის ჩოხის თანხა 141 წლის ერბაინიდან 142 წლის ერბაინამდე 52320 ახჩა შეადგინა. მთავარმა მოანგარიშემ როდესაც დაიანგარიშა, ზემოხსენებული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. თესქერე გაიცა 7 ჯემაზი ულ-ახირს, წელი 1142[7].

თელხესის თანახმად თესქერე გაიცა, ბრძანება. 27 ჯემაზი ულ-ეველი. წელი 142.

სწორია!

$$\begin{array}{r} 281 \\ 24 \\ \hline 872 \\ 436 \\ \hline 52320 \end{array}$$

---

[4] 22 ჯემაზი ულ-ეველი წელი 1142 — 13. 12. 1729.

[5] 27 ჯემაზი ულ-ეველი 1142 წელი — 15. 12. 1729.

[6] 1141 წელი — 7. 8. 1728. — 26. 7. 1729.

[7] 7 ჯემაზი ულ-ახირი 1142 წელი — 28. 12. 1729.

№ 52

ის (ალაჰი) შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. თბილისის დამცველის დიდებული ვეზირის, ბედნიერი ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის მონაწილეობით, არზრუმის ვილაიეთში: ქემახის, ერზინჯანისა და მათ გარშემო მდებარე კაზებში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ათი თავზეხელაღებული ბაირაღების მდგომარეობის შესამსუბუქებლად დანიშნული ჰასექის ერთი იაზიჯის, სამი ჯარისკაცის, ჩაუშისთვის გზის ხარჯის ბოძების საკითხზე, ბრძანების, ფირმანისა და მოწყალების ბოძება, თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო ბატონო სულთანო.

ზემოხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

იხილეთ უწინდებურად!

ჰასექის გზის ხარჯის, იაზიჯის, ჩაუშების, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ოჯახის ვალდებულებანია. მგზავრობის დროს სამსახურის შესრულება, უმაღლესი სამეუფეო კარის თავზეხელაღებულთა იანიჩრების აღწერა. არზრუმის მხარესა და მის გარშემო მდებარე ტერიტორიებზე, სამეუფეო კარზე დანიშნული თავრიზის ციხის დასაცავად მყოფის შესახებ ბრძანება გაიცა 1142 წელს[1]. ბრძანება გაიცა აგრეთვე, ზემოხსენებულთა გზის ხარჯების, აღნიშნული თანხების სახელმწიფო ხაზინისათვის გადაცემის შესახებ. ბრძანება გაიცა არზუჰალის, ველზე გაკეთებული მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე. დაიწერა 28 ზილ-კაადეს, წელი 1142[2]. პატიოსანი ფირმანის საფუძველზე თესქერე გაიცა. დაიწერა 1142 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისში[3].

ყურუში — 700. ჰასექის გზის ხარჯის შესახებ. ჯარისკაცი — 1. ყურუში — 500. ჩაუშთა გზის ხარჯის შესახებ. ჯარისკაცი — 3, თითოეულ ჯარისკაცს 50 ყურუში. სულ ყურუში — 150. იაზიჯის გზის ხარჯი, ჯარისკაცი — 1, ყურუში — 50. თავრიზის დასაცავად არზრუმის მხარეებიდან აღწერის ფირმანი გაიცა. თავზეხელაღებულ იანიჩართა ათი ბაირაღის აღსაწერად დანიშნული ჰასექის, იაზიჯისა და ჩაუშების ფეხის ქირისთვის, ხსენებული იაზიჯიების მიერ ხაზინის

---

[1] 1142 წელი — 27. 7. 1729 — 16. 7. 1730.

[2] 1142 წლის 28 ზილ-კაადე — 24. 6. 1730.

[3] 1142 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისი — 17. 6. 1730.

თესქერე გაიცა. იგი დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. 1143 წლის 11 საფარი[4]. თელხისი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟერად თბილისის მცველის დიდებული და ბედნიერი ვეზირის ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის მფარველობაში მყოფი არზრუმის, ქემახასა და ერზინჯანის ტერიტორიებიდან უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ათი თავზეხელაღებულთა ბაირაღი მორჩილები არიან. ერთი ჰასექის, ერთი იაზიჯისა და სამი ჩაუშისთვის გზის ხარჯის საბოძებლად არზუჰალი გაიცა. უწინდებურად, არსებულის მიხედვით, ჰასექის 500 ყურუში, იაზიჯის 50 ყურუში და ჩაუშების სამ ჯარისკაცს 150 ყურუში გადაეკვეთა. ველზე არსებული მინაწერის საფუძველზე, აღნიშნული თესქერეს საბოძებლად ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის საფუძველზე თესქერე გაიცა. ბრძანება. 143 წლის 10 საფარი[5]. თესქერე გაიცა 1143 წლის 11 საფარს.

700
16
———
4200
700
———
112000

№ 53

ის (ალაჰი) შეეწიოს

უწინდებურად დაიანგარიშეთ!

სამხედრო ძალების განახლებისა და განმტკიცების მიზნით, უმაღლესი სამეუფეო კარის თავზეხელაღებულთა იანიჩრების, სახედრების ჩალვადართა, ხელფასისა და სათანადო ხარჯების არზრუმის მხრიდან გაცემა და გაგზავნა, სამეუფეო კარისადმი დაქვემდებარებული დიდებული ვეზირის ისჰაკ ფაშას თბილისის მცველად დანიშვნა 1143 წელს[1].

———

[4] 1143 წლის 11 საფარი — 26. 8. 1730.

[5] 1143 წლის 10 საფარი — 25. 8. 1730.

[1] 1143 წელი — 17. 7. 1730 — 5. 7. 1731.

ბაირაღი — 10 ცალი. თითოეულ ბაირაღში — 100 ჯარისკაცია.
ჯარისკაცები — 1000.
დღეში:
პური — 1000 წყვილი.
ხორცი — 200 ოყა.

სახედართა ჩალვადრების ნივთების რაოდენობა 100 თავია.

არსებული წესის თანახმად, არზრუმის მხარიდან აღწერის ფირმანი გამოვიდა, რომლის მიხედვით 10 ბაირაღის ქვეშ მყოფ 1000 ჯარისკაცს, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა თავზეხელაღებულთა ჯარისკაცებს — თითოეულს დღიური თითო-თითო წყვილი პური მიეცათ, სულ 1000 წყვილი პური. (ხოლო) ყოველ ხუთ ჯარისკაცს ერთი ოყა ხორცი, სულ 200 ოყა ხორცი. მათი (ჯარისკაცების) ნივთების დასატვირთად (გადასაზიდად) ყოველ 10 ჯარისკაცს ერთი სახედრის ჩალვადარი მიეცა, სულ 100 სახედარი — ჩალვადარი მიეცათ. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო. 1143 წლის 11 საფარი[2].

დაბანაკების (გაჩერების) დღეების, თბილისში მისაღწევად დატვირთის გადაზიდვისათვის განკუთვნილი (ხარჯებისთვის) არზრუმის საბაჟოს ემინის მიერ (თანხის) გაცემის საკითხზე პატიოსანი ბრძანება გამოიცა.

თელხისი.

თესქერეს ბრძანება გაიცა, 1143 წ. 10 საფარი[3].

სწორია!

თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწეროს! ბრძანება. 1143 წლის 10 საფარი.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ თბილისის დასაცავად ჩაყენებული ჯარისკაცები, ამჯერად არზრუმის რაიონიდან ხელახლა გაიგზავნენ და სრულად წარმოდგენილი 1000 ჯარისკაცის — უმაღლესი სამეუფეო კარის თავზეხელაღებულთა იანიჩართათვის დღიურად გადაკვეთილია 1000 წყვილი პური, 200 ოყა ხორცი, ყოველ 10 ჯარისკაცზე ერთი სახედრის ჩალვადარი, ამიტომ 100 თავი ჩალვადარის ბოქების საკითხზე არზუჰალი არსებობს. დაბანაკების დღეებისა და თბილისში ყოფნისათვის გადაკვეთილი ხარჯებისა და ნივთების უზრუნველყოფისათვის, ჩალვადრების არზრუმის საბაჟოს ემინის ხალხისაგან გაცემის თაობაზე პატიოსანი ბრძანების დაწერის შესახებ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

---

[2] 1143 წლის 11 საფარი — 26. 8. 1730.

[3] 1143 წლის 10 საფარი — 25. 8. 1730.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა.

როდესაც თბილისის მცველ დიდებულ, ბედნიერ ისჰაკ ფაშას უდიდებულესობას დაუქვემდებარდება ლაშქარი, არზრუმის ეიალეთში მდებარე ქემაჰას, ერზინჯანისა და მათ სანახებში არსებული კაზებიდან შესაკრები უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების თავზეხელაღებულთა 10 ბაირაღის, ყოველი ბაირაღი, 100 კაცისგან დაკომპლექტდება, აღნიშნული კაზებიდან (შეკრებილი ხალხი) ხსენებული ვეზირის უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ როდესაც მოექცევა, დღე-ღამეში გადაკვეთილი პურის, ხორცისა და (სხვა) მათთვის განკუთვნილი ნივთების გადაზიდვისათვის სახედართა ჩალვადრების გამოსაყოფად დიდებული ფირმანის ბოძების ბრძანების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

ზემოხსენებული.

№ 54

ის (ალაჰი) შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიები 145 წელს[1] კანონიერად ითვლებიან. პროდუქტების ბოძების საკითხზე ფირმანი და ბრძანება ჩემს ბედნიერ და მოწყალე სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ.

ჯარისკაცი 44.

აღნიშნული 44 ჯარისკაცი არსებული წესის საფუძველზე ფოთის ციხის დასაცავად არიან რეგისტრირებულნი. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. დევთერი მუკაბელეს უწყების საფუძველზე. 145 წლის 18 შევალი[2]. დაიანგარიშეთ. ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ხორცის თანხის შესა-

---

[1] 1145 წელი — 24. 6. 1732 — 13. 6. 1733.

[2] 1145 წლის 18 შევალი — 3. 4. 1733.

ნებ სარგო 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3]. თესქერე გაიცა 1144 წლის 25 ზილ-ჰიჯეს[4].

ჯარისკაცი — 18.
დღეში ხორცი — 3 ოყა.
დღეები — 354. ოყა — 1062, თითოეული ოყა 5 ახჩაა.
ახჩა — 5310.

სარგო 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან იმავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[5]. ფიადე მუკაბელეს უწყების მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე.

ჯარისკაცი — 44.
დღეში ხორცი — 7 ოყა.
დღეები — 354.
ოყა — 2478, თითოეული ოყა 5 ახჩაა.
ახჩა — 12390.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 144 წლის[6] ხორცის თანხებისთვის თესქერეს ბოძება კანონიერია, ფიადე მუკაბელეს უწყების მიერ ველზე გაკეთებული მინაწერის საფუძველზე, ამჟამად ზემოხსენებული ციხის დაცვაში მყოფი 44 ჯარისკაცის 145 წლის ხორცის თანხა როდესაც დაანგარიშებულ იქნა, შეადგინა 12390 ახჩა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1145 წლის 17 ჯემაზი ულ-ეველი[7].

თელხისი.

ფოთის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ჯარისკაცთა 1145 წლის ხორცის თანხების გადახდის განკარგულების შესახებ არზუჰალი გაიცა. ფიადე კალემის უწყების საფუძველზე, ველზე გაკეთებული რეზოლუციის თანახმად, როდესაც დაიანგარიშეს ხსენებულ წელს ხორცის თანხები 12390 ახჩა შეადგინა. აღნიშ-

---

[3] 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 6. 7. 1731 — 23. 6. 1732.

[4] 1144 წლის 25 ზილ-ჰიჯე — 19. 6. 1732.

[5] 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 24. 6. 1732 — 13. 6. 1733.

[6] 1144 წელი 6. 7. 1731 — 23. 6. 1732.

[7] 1145 წლის 17 ჯემაზი ულ-ეველი — 5. 11. 1732.

ნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი მოწყალე და ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა.

ბრძანება.

145 წლის 8 ჯემაზი ულ-ეველი[8].

თესქერე გაიცა 45 წლის 10 ჯემაზი ულ-ეველს[9].

354
7
———
2478
5
———
12390

№ 55

ის (ალაჰი) შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, დიდსულოვანო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჟამად განჯის მცველის, დიდებული ვეზირი ალი ფაშას უდიდებულესობის მფარველობაში ყოფნისათვის გაცემული სააღწერო ფირმანის მიხედვით, 500 ჯარისკაცის, თავზეხელაღებულთა სილაჰდარების ძველი ტრადიციის მიხედვით საბაირაღოებად დაყოფის შესახებ მინაწერშია მოცემული და მის საფუძველზე წყალობის ბრძანების შესახებ ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, დიდსულოვანო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი — სილაჰდართა ოჯახი.

შესაბამისი ადგილი:

ბაირაქლიქ აღასა და განჯის თერქილუიანთა კაფუჯიების იუზბაშების შესახებ 1144 წელს[1].

---

[8] 1145 წლის 8 ჯემაზი ულ-ეველი — 27. 10. 1732.

[9] 1145 წლის 10 ჯემაზი ულ-ეველი 29. 10. 1732.

[1] 1144 წელი — 6. 7. 1731 — 23. 6. 1732.

ყვითელი დარაია (?) —
წყრთა: 25 — ალა
75 — იუზბაშები, თითოეულს 15-15

100

1144 წელს განჯის დასაცავად დანიშნული სილაჰდართა თერქილუიების ბაირაღებისათვის 100 წყრთა ყვითელი დარაიას (?) ხაზინადარ ბაშის მიერ ბოძების თაობაზე გაცემული ასლი რეგისტრირებულია. ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა. 1145 წლის 13 შაბანი[2].

სწორია!

თელხისის თანახმად ჩაიწეროს და ასლის ბოძების თაობაზე ბრძანება გაიცეს. 1145 წლის 16 შაბანი[3].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ განჯის მცველის დიდებული ვეზირის, ბედნიერი ალი ფაშას უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ მყოფის მიერ გაცემული საალწერო ფირმანის მიხედვით, 500 ჯარისკაცისათვის, თავზეხელაღებულთა სილაჰდრების ჯარისკაცების ძველი ჩვეულების მიხედვით, საბაირაღოების დარაიების ბოძებისათვის არზუჰალი გაიცეს. ხსენებულ ჯარისკაცებს საბაირაღო დარაიები, უწინდელთან შედარებით 100 წყრთა დარაია გადაეკვეთათ. ასეთი რაოდენობით დარაიას ხაზინადარ ბაში ალას მსახურთა მიერ გასაცემად ძოავარ მოანგარიშეს ჩაეწერა და ასლის ბოძების საკითხზე ბრძანება ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ალი.

თესქერე გაიცა, 1145 წლის 16 შაბანი.

№ 50

სწორია!

თელხისის თანახმად ჰუქმი გაიცეს! ბრძანება. სწორია!

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამ არზის მიმრთმევია ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული 12 ეშკამფუიას კაფუდანები. თითოეულ გემზე დანიშნული 25 ჯარისკაცის — დუმენჯის, ქურქჩის, თოფჩის, იალაქჩის ხელფასებისთვის 144 წელს[1] განკუთვნილი, მესა-

---

[2] 1145 წლის 13 შაბანი — 29. 1. 1733.
[3] 1145 წლის 16 შაბანი — 1. 02. 1733.
[1] (1)144 წელი — 6. 7. 1731 — 23. 6. 1732.

შედია გამოყოფილი. (11)45 წლის[2] წილი — ძირითადი ახჩები კაფუ-დანებს არ მიუღიათ. აღნიშნული ჯარისკაცების მიერ მოთხოვნილი ხელფასის უზრუნველსაყოფად და აღნიშნული თანხის საბოძებლად თხოვნა გააგზავნეს. მითითებული ორი თვის განკუთვნილი 7000 ყუ-რუში (1)145 წელს ტრაპიზონის ხაზინის ფინანსებიდან გაიგზავნა, ფოთის დასაცავად მყოფი ჰალილ ფაშას ჯარისკაცებისთვის გაგზავნი-ლი რეგისტრირებული რადგანაცაა, აღნიშნული თანხის ხსენებული ფაშას ჯარისკაცების მარიფათით პატრონებისთვის დასარიგებლად პა-ტიოსანი ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

ალი.

თესქერე გაიცა, 27 ჯემაზი ულ-ახირს, წელი 1145[3].

რეგისტრატორი.

ასლი.

№ 57

ის (ალაჰი) შეეწიოს

ერევნის ციხის დასაცავად მყოფი განახლებული ბაირაღების ჯა-რისკაცების, უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთ იანიჩართა გამოსა-ზამთრებელი ჩვეულებრივი გასამრჯელო 1144 წლის ერბაინის დასა-წყისიდან 1145 წლის ერბაინამდე[1].

ბარანი — 1658 ცალი.

არსებული წესის თანახმად, ერევნის ციხის დასაცავად (მყოფი) უმაღლესი ფირმანით შევსებული რაზმი — 20 კაცი — უმაღლესი სა-მეუფეო კარის იანიჩართა თავზეხელაღებულების ბაირაღის ჯარისკა-ცები 1658 კაცია. 1144 წლის ერბაინიდან 1145 წლის ერბაინამდე მხოლოდ 1658 ბარანის ჩოხაა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებუ-ლესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

დაიანგარიშეთ!

ერევნის ციხის დასაცავად მყოფი ერთგული იანიჩრებისათვის გან-საზღვრული გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1144 წლის ერბაინის

---

[2] (1)145 წელი — 24. 6. 1732 — 13. 6. 1733.

[3] 27 ჯემაზი ულ-ახირი, წელი 1145 — 15. 12. 1732.

[1] 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინამდე — 21. XII. 1731 წლიდან — 7. 1. 1733 წლამდე.

დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე არზუჰალის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად.

ჯარისკაცები — 1658.
ჩოხის ბარანის მსგავსი — 1658, თითოეული 240-240 (ახჩაა).
ახჩა — 397920.

არსებული წესის თანახმად, ერევნის ციხის დასაცავად განახლებული რაზმის — უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა სხვა სასაზღვრო ციხეებზე მყოფი ჯარისკაცების მსგავსად, (1)144 წლის ერბაინიდან (1)145 წლის ერბაინის დასაწყისამდე გაცემული ფირმანის საფუძველზე როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 3 იუქი (და) 97920 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემს ბედნიერ მოწყალე სულთანზეა. 1145 წლის 21 რეჯები[2].

თელხისი.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება. 1145 წლის 25 რეჯები[3].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ერევნის ციხეში დასაცავად მყოფი განახლებული რაზმის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა თავზეხელაღებულების ბაირაღთა 20 ჯარისკაცის გამოსაზამთრებელი თანხის ბოძების შესახებ არზუჰალი არსებობს. იანიჩართა ქათიბის მინაწერის საფუძველზე ხსენებული ჯარისკაცების (11)44 წლის ერბაინის დასაწყისიდან (11)45 წლის ერბაინამდე გამოსაზამთრებელი თანხა სამი იუქი (და) 97920 ახჩა რადგანაც დაანგარიშებულ იქნა, აღნიშნული თანხის შესახებ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

ალი.

თესქერე გაიცა 1145 წლის 21 რეჯებს.

რეგისტრატორი.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა, ერევნის ციხის დასაცავად მყოფი ოდას (ხალხის) და იამაკების იჯმალის უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გარდამაღალი ფირმანის საფუძველზე 20 კაციანი რაზმი — თავზეხელაღებულთა ბაირაღების ჯარისკაცები იმ მხარეში განამწესეს. დიდებული ვეზირის, სერასქერის, ბედნიერი იბრაჰიმ ფაშას უდიდებულესობის

[2] 1145 წლის 21 რეჯები — 7. 1. 1732.
[3] 1145 წლის 25 რეჯები — 11. 1. 1732.

მიერ დაბეჭდილი დავთრები მოვიდა. რადგანაც მაღალი ფირმანის საფუძველზე ეს რაიონი რეგისტრირებულ იქნა, ხსენებული ჯარისკაცების 1145 წლისთვის[4] კანონიერად არსებული ჩოხის თანხების ბოძებისა და მთავარი მოანგარიშის მიერ თესქერეს შედგენის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

№ 58

უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთ იანიჩართა გამოსაზამთრებელი (ტანისამოსის) თანხის შესახებ, რომლებიც განჯის ციხის დასაცავად მყოფი განახლებული ბაირაღების ჯარისკაცებისთვისაა განკუთვნილი 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინამდე[1].

ბარანი — ჯარისკაცი — 1430.

არსებული წესის თანახმად, განჯის ციხის დასაცავად მყოფი მაღალი ფირმანით განახლებული რაზმის — 25 უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების თავზეხელაღებული ბაირაღების ჯარისკაცები — 1430-ია. 1144 წლის ერბაინიდან 1145 წლის ერბაინამდე მხოლოდ 1430 ბარანის ჩოხა კანონიერად ერგებათ. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

დაიანგარიშეთ!

განჯის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ერთგული იანიჩრების გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე არზუჰალისა და უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის საფუძველზე.

ჯარისკაცები — 1430.
ბარანის ჩოხა — 1430, თითოეული 240 ახჩაა.
ახჩა — 343200.

არსებული წესის თანახმად, განჯის ციხის დასაცავად მყოფი განახლებული რაზმის — უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა სხვა სასაზღვრო ციხეების მსგავსად (1)144 წლის ერბაინიდან (1)145 წლის ერბაინის დასაწყისამდე გაცემული ფირმანის

[4] 1145 წელი — 24. 6. 1732. — 13. 6. 1733.

[1] 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინამდე — 21. 12. 1731 — 7. 1. 1733.

საფუძველზე როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ სამი იუქი და 43200 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო. 1145 წლის 21 რეჯები.

თელხისი. სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს! ბრძანება. 1145 წლის 21 რეჯები[2].

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ განჯის ციხის დასაცავად მყოფი განახლებული რაზმის — 25 კაცის რაოდენობით უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა თავზეხელაღებული ბაირაღების ჯარისკაცთა გამოსაზამთრებელი თანხის გადაკვეთის ბრძანების შესახებ არზუჰალი არსებობს. იანიჩართა ქათიბის ველზე მინაწერის თანახმად ხსენებული ჯარისკაცების გამოსაზამთრებელი თანხა (11)44 წლის ერბაინიდან (11)45 წლის ერბაინამდე სამი იუქი და 43200 ახჩა შეადგინა. რადგანაც ეს დაიანგარიშეს, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თესქერე გაიცა. 21 რეჯები, 1145 წელი.

რეგისტრატორი.

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. განჯის ციხის დასაცავად მყოფი ოდიანი და იამაკთა იჯმალის მქონე უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გარდა მაღალი ფირმანის საფუძველზე არსებული რაზმის — 25 თავზეხელაღებულთა ბაირაღების ჯარისკაცთა იმ მხარეში ყოფნა აუცილებელია. დიდებული ვეზირის, ბედნიერი გენჩ ალი ფაშას უდიდებულესობის ბეჭდით დავთარი მოვიდა და მაღალი ფირმანით რადგანაც იმ რაიონს მიეწერა, ხსენებული ჯარისკაცების 1145 წლის ჩოხის თანხის ბოძებისა და მთავარ მოანგარიშესთან თესქერეს დაწერის საკითხზე ბრძანება (და) ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

№ 59

ის (ალაჰი) შეეწიოს

ორთასთვის
ბრინჯი — ოყა: 100
წმინდა ერბო — ოყა: 25

ჩორბაჯი აღასთვის
ბრინჯი — ოყა: 25
წმინდა ერბო — ოყა: 10

---

[2] 1145 წლის 21 რეჯები — 7. 1. 1732.

სალეჰ აღას
ბრინჯი — ოყა: 25
წმინდა ერბო — ოყა: 10
სწორია!

პატივცემულო დევთერდარო — სეიდ ოსმან ეფენდი, იმატოს მისმა დიდებამ, ხსენებულნი აღნიშნული ციხის დამცველები არიან. მიუხედავად იმისა, რომ ორგულობაში არიან შემჩნეულნი, შუამდგომლობა გაეწიოთ და ზემოაღნიშნული რაოდენობის ერბო და ბრინჯი მათ ებოძოთო! ბრძანება.

დაიწერა 11 ჯემაზი ულ-ახირს, წელი 1147[1].

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობა. ეს ჯარისკაცები თაბორის ციხის დამცველებად არიან დანიშნულნი და როდესაც დასჭირდებათ მოთხოვნილებისამებრ ებოძებათ. დავთარში რეგისტრირებული პროდუქტების ბოძების თხოვნის საკითხზე არზუჰალი არსებობს. აწი ფირმანი ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი ჯარისკაცების ორთა.

თქვენი მონა-მორჩილი აჰმედ აღა — ბოლუქი 9.

თქვენი მონა-მორჩილი სალეჰ აღა — სერ თოფჩიანი.

№ 60

ოი ბედნიერებავ!

1171 წ. როშენის[1] სარგოდან უსტას (?) პურის ფული მიეცეს!

ჯამაათი — 79,5 სერ ოდა ჩაიწერა.
სულეიმანი
ჰასანი
ღღე — 12.

ხსენებული ოდა ბაშის სახელი ჩაიწეროს, ბეჭდისთვის (დასასმელად) ნიშანი გაიცეს!

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო ბატონო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა.

თქვენი მონა-მორჩილის არზუჰალი ისაა, რომ ფოთის ციხის დასაცავად დანიშნული 79 ჯამაათის ოდაში სამი წლის განმავლობაში ოდა

[1] 11 ჯემაზი ულ-ახირი, წელი 1147 — 8. 11. 1734.

[1] 1171 წლის როშენი — 1759 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი.

ბაშის თანამდებობაზე დავჰყავი. საზღვრის ალამ თქვენი მონა-მორჩილების წერილი მოგართვათ და უმაღლესი სამეუფეო კარის ზღურბლის მტვერს ვეახელი. სამეუფეო კარისგან მოწყალებას ვითხოვ, რომ ფადიშაჰის მოწყალებით ამ ჯარისკაცების ბედნიერება გაიზარდოს. ჩემი ბატონისთვის სიცოცხლის ბოლომდე ლოცვით ვიქნებით დაკავებული, აწი ბრძანება და ფირმანი ჩემს ბატონზე, ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი
სულეიმანი — 79 ჯამაათის
ოდა ბაში.

რეგისტრატორი.

№ 61

ის (ალაჰი) შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამჯერად მაღალი ფირმანის წყალობით, ჰანეთის მუჰასილმა ალი ბეიმ, თავისი ადგილსამყოფელის გამგებელმა, ზღვის სანაპიროზე მდებარე კაზებიდან ფოთის დასაცავად დანიშნული 15 ოვზეხელალებული ბაირაღის რაზმი გააგზავნა უმაღლესი ბრძანების საფუძველზე. ზემოაღნიშნული გაგზავნილი ჩაუშების ჯარისკაცებისათვის გზის ხარჯის — 50 ყურუშის მოწყალებისა და პატივის ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე ეფენდის, ჩემი სულთნის უდიდებულესობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი.

უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ოჯახის მიერ ამ თანამდებობაზე დანიშნული ერთი ჯარისკაცის, ჩაუშის გზის ხარჯისთვის 50 ყურუშის, ხაზინის თესქერეს გაცემა გადაწყვეტილია.

ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. 1185 წლის 19 ზილ-ჰიჯე[1]. პატიოსანი ფირმანისა და არზუჰალის თანახმად, ჩაუში, ჯარისკაცი — 1: ყურუში — 50. გაცემული ფირმანის საფუძველზე.

არსებულის თანახმად ერთი ჯარისკაცის ჩაუშის გზის ხარჯი, როდესაც დაიანგარიშეს 50 ყურუში შეადგინა. ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1185 წლის 19 ზილ-კაადე.

თელხისი.

მოწყალე დევთერდარ ეფენდიმ განიხილოს და რეზოლუცია დაადოს. განკარგულება გაიცა. 85 წლის 18 ზილ-ჰიჯე[2].

---

1 1185 წლის 19 ზილ-ჰიჯე — 24. 3. 1772.

2 1185 წლის 18 ზილ-ჰიჯე — 23. 3. 1772.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟამად ჭანეთის მუჰასილი ჰაჯი ალი ბეგის მსახურთა სატახტო ქალაქში არსებული, შავი ზღვის მხარეში მდებარე კაზებიდან ფოთის ციხის დასაცავად მყოფი 15 თავზეხელაღებული ბაირაღების რაზმებისთვის გაცემული, დიდებული ბრძანების, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ოჯახის მიერ გაცემული, ერთი კარისკაცი ჩაუშის მსახურისთვის სახელმწიფოსაგან გზის ხარჯის გასაცემად, სათხოვნელად არზუჰალი არსებობს.

არსებულისა და ამჟამად დაანგარიშებულის მიხედვით, ერთი ჯარისკაცი ჩაუშის გზის ხარჯისთვის 50 ყურუშის, თესქერეს გაცემის საკითხზე, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა.

ბრძანება.

85 წლის 23 რები ულ-ახირი.

თესქერე გაიცა 185 წლის 23 რები ულ-ახირს[3].

№ 62

რაც ალაჰმა მომცა მადლობელი ვარ, მივანდე ბედი ჩემი ჩემს შემქმნელს (უფალს), მონამან მისმან. 1119 წლის რეჯები (28. 9. — 28. 10. 1707 წლისა). პატივცემულო ერევნის დევთერდარ მარამა ეფენდი, თელხისის თანახმად ერევნის ხაზინაში ხარჯი რეგისტრირებულ იქნესო, ბრძანება. 1137 წლის 22 ზილ-ჰიჯე[1].

მიწის მუშის, ხუროების, კედლის მშენებლების, წყლის გამყვანებისა და სხვა მუშების ხელფასის დავთარი სახელმწიფოსაგან ზილ-კაადეს დასაწყისიდან 1137 წლის 22 ზილ-ჰიჯემდე.

დღეები — 52.

თებრიზის კარის მახლობლად ხანდაკის მომწყობების: მიწის მუშების, ქვით მშენებლების და ღირსეულ ადამიანთა ხელფასის შესახებ 22 ზილ-კაადედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წლისა:

დღეები — 30.

მიწის მუშები — 2272, თითოეულს 24-24 (ახჩა).

ახჩა — 55528

1000

———

54528

---

[3] 1185 წლის რები ულ-ახირის 23—25 5. 8. 1771.

[1] 1137 წლის 22 ზილ-ჰიჯე — 2. 8. 1725.

ქვით მშენებლები — 438, თითოეულს 50-50 ახჩა. ახჩა — 21900.
ღირსეული პირები — 2, დღეები — 30, დღეში — 60-60 ახჩა.
ახჩა — 3600.

ჯამი 81028 დღე
1000
———
80028

მირის ლევენდების ოდებისათვის განახლებული მშენებლობისას: მიწის მუშების, ხუროთა, კედლის მშენებელთა, ღირსეულთა და სხვათა ხელფასის შესახებ 1137 წლის 6 ზილ-ჰიჯედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე[2].

დღეები — 16.
მიწის მუშა ჯარისკაცები — 612, თითოეულს 24-24 (ახჩა),
ახჩა 13488
1200
———
14688

ხუროები — 921, თითოეულს — 50-50 (ახჩა).
ახჩა — 14550.
ღირსეული, სანდო ხალხი — ჯარისკაცები — 2, დღეები — 16. თითოეულს 60-60 ახჩა. ახჩა — 1920.

ჯამი — 29958
1200 მომატებული დღეები.
———
31158

სახელმწიფო გასაჩერებელი ადგილების, სასახლეებისა და საჯინიბოების განახლების დროს: მიწის მუშებისა და სხვა მუშათა ხელფასის შესახებ 22 ზილ-კაადედან ამავე 22 ზილ-ჰიჯამდე 1137 წლისა[3].

დღეები — 30.
მიწის მუშები — 2607, თითოეულს 24-24 (ახჩა).
ახჩა — 62568.
ხუროები — 702, თითოეულს 50-50 ახჩა.
ახჩა — 35100.

---

[2] 6 ზილ-ჰიჯედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წ. — 16. 8. -დან 1. 9. 1725.
[3] 22 ზილ-კაადედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წ. — 2. 8.-დან — 1. 9. 1725.

ღირსეული და საიმედო ხალხი — ჯარისკაცები — 2, დღეები — 30, თითოეული 60-60 (ახჩაა), ახჩა — 3600.

ჯამი: ახჩა — 101268. სწორია!

მიწის მუშების, კედლის მშენებელთა, ხუროთა, ღირსეულთა (სანდოთა) და სხვათა ხელფასის შესახებ, რომლებიც თავგამოდებით ეწევიან მშენებლობას, იბრაჰიმ ედჰემ ეფენდის ხარჯებისათვის 1137 წლის ზილ-კაადეს დასაწყისიდან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე[4].

დღეები — 52.
მიწის მუშები — 2923, თითოეულს 24-24 (ახჩა). ახჩა — 70152.
ხუროები, კედლის მშენებლები — ჯარისკაცები — 306, თითოეული 50-50 (ახჩაა), ახჩა — 15300.
ნდობით აღჭურვილი პირები — კაცები — 2, დღეები — 52, თითოეულ დღეს 60-60 ახჩა. ახჩა — 6240.

ჯამი — ახჩა — 91692. სწორია!

დამუშავებული სამშენებლო მასალის თანხისა და ხის მორების გასაგზავნი თანხის შესახებ, რომლებიც ერევნის რაიონიდან შეძენილია აჰმედ ხალილის მარიფათით. აღნიშნული ხარჯების შესახებ 1138 წლის 4 ზილ-ჰიჯეს[5].
ახჩა — 6210.

დამუშავებული სამშენებლო მასალის თანხის შესახებ, მირის ლევენდების ოდების შესახებ შათირ ბაშის ხელით შეძენილი, 1138 წლის 4 ზილ-ჰიჯეს, აღნიშნული ხის მასალის გასაგზავნი თანხის შესახებ.
ხის მასალა — 251 ცალი. ახჩა — 24000.

ოდებისა და საჯინიბოს სახურავის ცინკით გადახურვის თანხის შესახებ 20 ზილ-კაადედან ამავე 22 ზილ-კაადემდე 1137 წლისა[6].
ახჩა — 1140.

მირის ლევენდების ოდებისა და საჯინიბოსთვის აგურის თანხის შესახებ 22 ზილ-ჰიჯეს (1)137 წლისა.
აგური — ცალი 36000, თითოეული 72 (ახჩაა). ახჩა — 2592.
სწორია!
ციხის რაიონიდან მშენებლობის ადგილამდე აგურის გასაგზავნი თანხის შესახებ.

---

[4] ზილ-კაადეს დასაწყისიდან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე — 1137 წ. — 12. 7.-დან — 1. 9. 1725.
[5] 4 ზილ-ჰიჯე 1138 წლისა — 3. 8. 1726.
[6] 20 ზილ-კაადედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წ. — 31. 7. — 1. 9. 1725.

აგური — 36000 ცალი. თითოეული 60-60 (ახჩაა). ახჩა — 2160.
სწორია!

მირის სასახლის შეკეთების, კარის სახელურის, თუჯის თანხებისა და სხვა ხარჯების შესახებ.

კარი — 11, თითოეული — 24-24 (ახჩაა).
ახჩა — 2640.
ჩასაკეტი, თუჯი და სხვა — ახჩა — 960. სწორია!
ჯამი — 3600.

ჯებეხანეში მომუშავე რკინის მჭედლების ხელფასის შესახებ. 12 ზილ-ჰიჯედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წლისა[7].

ოსტატი — 3, ჯარისკაცი — 9, დღეები — 11. თითოეულს — 40-40 (ახჩა). ახჩა — 3960. სწორია!

მირის სასახლისა და მშენებლობის ხარჯების შესახებ 12 ზილ-ჰიჯედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წლისა.

156, ახჩა — 7488, თითოეული 48-48 ახჩაა. სწორია!

არხის გამყვანის ჯაფერის მარიფათით სანდო პირებისათვის აშენებული არხის შეკეთების შესახებ 2 ზილ-კაადედან 24 ზილ-ჰიჯემდე 1137 წლისა[8].

კრამიტის წყლის არხი — 400 ცალი. თითოეული 6-6 (ახჩაა). ახჩა — 2400. მიწის მუშა ჯარისკაცები — 50. თითოეული 24-24 (ახჩაა). ახჩა — 1200.

ერბო: ოყა — 50, თითოეული 24 (ახჩაა). ახჩა — 1200.
ბამბა: ოყა — 4. თითოეული — 60-60 (ახჩაა). ახჩა — 240.
კირი: სომარი — 50, თითოეული — 48-48 (ახჩაა).
ახჩა — 2400.
ჯამი — ახჩა — 6240
1200
———
7440 სწორია!

წყლის არხის საჯინიბომდე შეკეთების შესახებ 28 ზილ-კაადეს 1137 წლისა[9].

მიწის მუშა — 825, თითოეული 24-24 (ახჩაა). ახჩა — 19700.
ერბო: ოყა — 40, თითოეული 24-24 (ახჩაა). ახჩა — 960.
ბამბა: ოყა — 6, თითოეული 96 (ახჩაა). ახჩა — 586.

---

[7] 12 ზილ-ჰიჯედან ამავე 22 ზილ-ჰიჯემდე 1137 წ. — 22. 8. — 1. 9. 1725.
[8] 2 ზილ-კაადედან 1137 წლისა 24 ზილ-ჰიჯემდე — 13. 7. — 3. 9. 1725.
[9] 28 ზილ-კაადე 1137 წლისა — 8. 8. 1725.

კრამიტის წყლის არხი, ცალი — 250, თითოეული — 6 (ახჩაა). ახჩა — 1500.

კირი — სომარი — 30, თითოეული 47-47 (ახჩაა). ახჩა — 1440.

ჯამი — ახჩა 24386.

100 დღით ნაკლები

24286

საერთო ჯამი: ახჩა — 386822

ყურუში — 3223,5 სწორია!

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ერევნის ციხის ხარჯიდან თებრიზის კარის ახლოს ხელახლა აშენებულ ხანდაკში 30 დღე მომუშავეების: მიწის მუშების, ქვით მშენებლების, სანდო ადამიანების (მეთაურების) ხელფასი და აგრეთვე მირის ლევენდების საცხოვრებლად ასაშენებელი და განახლებისათვის დანიშნულ ოდებში 16 დღე მუშაობენ: მიწის მუშები, კედლის მშენებლები, ხუროები და სანდო პირები. ამავე დროს მირის ვალის სასახლეს და კონაკების შესაკეთებლად 30 დღე მომუშავე მიწის მუშები, კედლის მშენებლები, ხუროები; სატუსაღოების მშენებლობაში 52 დღე მომუშავენი: მიწის მუშები, კედლის მშენებლები, კალატოზები, სანდო პირთა ხელფასებია; ხსენებულ მშენებელთათვის ქალაქ ერევნიდან შეძენილია ხის დამუშავებული მასალა, კირისა და სხვა პროდუქტების თანხები (გაღებულია), ასევე შათირ ბაშის ყულების მარიფათით მდინარე არასის ნაპირზე მოპოვებულია დიდი ბალვანის (?) თანხები. წყლის არხების შეკეთების, კირის, აგურის თანხები (გადახდილია), მისი გადაზიდვის თანხა, ჯამეხანეში დასაქმებული მუშების — რკინის მჭედლების ოჯახთა ხელფასები გაღებულია. სუყველა ზემოდასახელებული პირების მიხედვით არსებული დავთრის თანახმად მხოლოდ 3223,5 ყურუში შეადგინა. დაანგარიშებულ იქნა. როდესაც ეს სახელმწიფოს ეუწყება, ერევნის ხაზინისათვის ხარჯის მიწერის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

№ 68

ერევნის ლაშქრის ჯებეჯიების აუცილებელი საჭურვლის შესახებ.

მჭედელთა ოჯახი — 1. ჯარისკაცი — 3.

შეკონდახეები — 1, ჯარისკაცი — 1.

მეხმლეები — 1, ჯარისკაცი — 1.

მეთოფეები და მეპისტოლეტეები: ჯარისკაცები:

1 — მეთოფე
1 — მეპისტოლეტე.

—

2

ჯამი: ჯარისკაცები — 7.

ერევნის ლაშქრის თოფხანეს საჭიროების შესახებ:

მჭედელთა ოჯახი — 1.
ჯარისკაცი — 3.
კალას ჩამომსხმელები: ჯარისკაცი — 3.
კალატოზი, ჯარისკაცი — 2.

ჯამი — ჯარისკაცი — 8.

ერევნის ლაშქრის თოფ არაბაჯიების საჭიროების შესახებ:

მჭედელთა ოჯახი — 1, ჯარისკაცი — 3.
არაბაჯიები და ხუროები, ჯარისკაცი — 2.

ჯამი — ჯარისკაცები: 5.

შირვანისა და განჯის მხარისაკენ გამგზავრებისა და ლაშქრობის საჭიროებისათვის:

ხუროები: ჯარისკაცები: 4 — ხურო
2 — დანის მკეთებელი

—

6

მელაღუმეები: ჯარისკაცი: 05 — მელაღუმე
10 — ხაზინადარი

—

15

ჯამი — ჯარისკაცი: 21.

საერთო ჯამი — ჯარისკაცები — 41. სწორია!

თელხისის თანახმად მთავარ მოანგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული და ცალცალკე გაიცეს ასლები. ბრძანება. 1137 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი[1].

---

[1] 1137 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი — 14. 3. 1725.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ერევნის სერასქერის დიდებული ვეზირის აჰმედ ფაშას უდიდებულესობის განჯისა და შირვანის მხარეებისკენ გამგზავრების დროს ერევნის ლაშქრის ჯაბახანა ტოფხანა და თოფ არაბაჯიების ოჯახებში (ყველაფერი) სახეზე უნდა იყოს. დაკომპლექტების დროს სამსახურში ასაყვანად მოითხოვეს: მჭედელი, შავი კალას ჩამომსხმელი, კალატოზი, მეურმე, ხურო, დანის მკეთებელი, მელადუმე, ხაზინადარი; ყველა მათგანის გარკვეული რაოდენობით გაგზავნის შესახებ რადგანაც მაღალი ფირმანი გაიცა, დავთარში არსებულის მიხედვით 41 ჯარისკაცის ოჯახიდან და მშენებელთა აღას ჯარისკაცების მარიფათით თადარიგი დაიჭირეს და გაემზადნენ. ჩვეულების მიხედვით, ხელფასის დახმარებისა და გზის ხარჯების სახით ებოძათ და გასაგზავნად მთავარ მოანგარიშესთან რეგისტრირებულ იქნა. მის ასაღებად სხვადასხვა ასლების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო (და) მოწყალეო სულთანო.

სხვადასხვა ასლები გაიცა.
1137 წლის 28 ჯემაზი ულ-ახირი.
რეგისტრატორი.

№ 64

მენზილების ჩალვადრების ხელფასის შესახებ 1141 წლის საფარის თვის დასაწყისიდან ხსენებული თვის მიწურულამდე[1].

ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ 1141 წლის საფარის თვეში[2]. ჩალვადარი — 2, თითოეულს — 2,5-2,5 ყურუში. ყურუში — 5.

ჩოხადარის უდიდებულესობის, კეთილისმყოფელის შესახებ, თბილისამდე 1141 წლის 3 საფარს[3]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ჩოხადარ სერ ხანი ხან შირვანის შესახებ შემახამდე (1)141 წლის 4 საფარს[4]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ხელმწიფის უდიდებულესობის ჯარისკაცების ჩოხადარის შესახებ ყარსამდე. 1141 წლის 7 საფარი[5]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

---

[1] 1141 წლის საფარის თვის დასაწყისიდან ხსენებული თვის მიწურულამდე — 1728 წლის 6. 9.-დან 4. 10.-მდე.

[2] 1141 წლის საფარის თვე — 6. 9. — 4. 10. 1728 წელი.

[3] 1141 წლის 3 საფარი — 8. 9. 1728.

[4] 1141 წლის 4 საფარი — 9. 9. 1728.

[5] 1141 წლის 7 საფარი — 12. 9. 1728.

ჩოხადარ ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის შესახებ თბილისამდე 1141 წლის 8 საფარს[6]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ოსმან ჩოხადარის შესახებ დედაქალაქამდე, 1141 წლის 8 საფარს. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ჩოხადარის უდიდებულესობის კეთილისმყოფელის შესახებ თბილისამდე 1141 წლის 8 საფარს. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ჩოხადარი ალი ფაშას შესახებ ყარსამდე, 1141 წლის 8 საფარს. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ჩოხადარის უდიდებულესობის შესახებ ბერქუშათამდე და დიზაკამდე, (1)141 წლის 12 საფარს[7]. ჩალვადარი — 4, ყურუში — 10.

. კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ სოხუმამდე 12 საფარს, 1141 წლისა[8], ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ თბილისამდე 12 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჩალვადრის შესახებ ოქროს რქამდე, 13 საფარს 1141 წლისა[9]. ჩალვადარი — 3. ყურუში — 7,5.

ჯაფარ ჩოხადარის შესახებ დედაქალაქამდე 15 საფარს 1141 წლისა[10]. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ მდ. მტკვრამდე 15 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

შირვანის ხანის — სერ ხანი ხანის ჩოხადარის შესახებ შემახამდე 15 საფარს 1141 წლისა, ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

მდინარე მტკვარზე მირალაის გასვლის შესახებ 15 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

ჰასან ჩოხადარის შესახებ დედაქალაქამდე 17 საფარს 1141 წლისა[11]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

თან იუსუფ ჩოხადარის შესახებ დერსემდე (?) 16 საფარს 1141 წლისა[12]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარების შესახებ დედაქალაქამდე 18 საფარს 1141 წლისა[13]. ჩალვადარი — 3, ყურუში — 7,5.

---

[6] 1141 წლის 8 საფარი — 13. 9. 1728.
[7] 1141 წლის 12 საფარი — 17. 9. 1728.
[8] 1141 წლის 13 საფარი — 18. 9. 1728.
[9] 1141 წლის 15 საფარი — 20. 9. 1728.
[10] 1141 წლის 17 საფარი — 22. 9. 1728.
[11] 1141 წლის 16 საფარი — 21. 9. 1728.
[12] 1141 წლის 18 საფარი — 23. 9. 1728.
[13] 1141 წლის 19 საფარი — 24. 9. 1728.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ გოვარანამდე (?) 18 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ დებრაქამდე (?) 19 საფარს 1141 წლისა[14]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

თათარ დელი ალის შესახებ დედაქალაქამდე 20 საფარს 1141 წლისა[15]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ (?)-მდე, 21 საფარს, წელი — 1141[16]. ჩალვადარი — 2, ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ ყარსამდე და არზრუმამდე, 26 საფარს, 1141 წლისა[17]. ჩალვადარი — 3. ყურუში — 7,5.

ყარა ჰისარის ჩოხადარის შესახებ ყარსამდე, 23 საფარს 1141 წლისა[18]. ჩალვადარი — 3. ყურუში — 7,5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარების შესახებ თბილისამდე, ერევნამდე და ყარსამდე, 25 საფარს, 1141 წლისა[19]. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

ისჰაკ ფაშას უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ -მდე, 21 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის ჩოხადარ ყარაზიჯის შესახებ 24 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 4. ყურუში — 10.

არზრუმის მუსლიმი ჩოხადარის შესახებ 27 საფარს 1141 წლისა[20]. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

ყარა ჰისარის წვრილ-წვრილი ხარჯების შესახებ 27 საფარს 1141 წლისა. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

შირვანის სერ ხანი ხანის შესახებ შემახამდე 28 საფარს 1141 წლისა[21]. ჩალვადარი — 4. ყურუში — 10.

სივასის დავთრის ქედხუდას ჩოხადარის შესახებ 28 საფარი 1141 წლისა. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

---

[14] 1141 წლის 20 საფარი — 25. 9. 1728.
[15] 1141 წლის 21 საფარი — 26. 9. 1728.
[16] 1141 წლის 26 საფარი — 1. 10. 1728.
[17] 1141 წლის 23 საფარი — 28. 9. 1728.
[18] 1141 წლის 25 საფარი — 30. 9. 1728.
[19] 1141 წლის 27 საფარი — 2. 10. 1728.
[20] 1141 წლის 28 საფარი — 3. 10. 1728.
[21] 1141 წლის 22 საფარი — 27. 9. 1728.

კეთილისმყოფელის უდიდებულესობის ჩოხადარის შესახებ ყარსამდე, 22 საფარს 1141 წლისა[22]. ჩალვადარი — 2. ყურუში — 5.

ჯამი: ჩალვადარი
ყურუში
81 თითოეული 2,5-2,5 ყურუშია.
202,5 ყურუში.

მონა-მორჩილის მაარუზა ისაა, რომ 1141 წლის დიდებული საფარის დასაწყისიდან მიწურულამდე, ერთ თვეში მნიშვნელოვანი ბრძანებები ულაყებზე ჩვენს ბატონებს ფირმანებით ებოძათ სულ 81 თავზეშენზილის ჩალვადრების თითოეულს (ებოძა) 2,5-2,5 ყურუში, რომელიც შეადგენს სულ 202,5 ყურუშს — ხელფასს. როდესაც ეუწყება სახელმწიფოს, განჯის ხაზინიდან (თანხის) გაცემის საკითხზე დიდებული ფირმანი თუ გამოვა, ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო. 29 საფარი 1141 წელი[23].

№ 65

თუღრა: მაჰმუდ ხანი, შაჰი ძე მუსტაფასი, მუდამ გამარჯვებული[1].

ის (ალაჰი) შეეწიოს

ერევნის მცველის, დიდებული ვეზირის უმაღლესობის მუსტაფა ფაშას მიერ 1141 წ.[2] (გაცემული) დათვალიერებისა და აღწერის მოწესრიგებული დავთრის ასლი ერევნის ციხის ადგილობრივი ჯარისკაცებისათვის. მოწესრიგებული დავთრის, თელხისისა და მაღალი ფირმანის თანახმად 26 რები ულ-ახირს 1143 წლისა[3] ადგილზე რეგისტრირებულია და ასლი გაცემულია ბრძანების საფუძველზე.

ერევნის ხაზინის ხადიმთა ჯამაათიდან ჯარისკაცები — 2, დღეში — 90 (ახჩა). ადგილობრივი იანიჩრების ჯარისკაცთა ჯამაათიდან — ჯარისკაცები — 100, დღეში — 1212 (ახჩა).

ადგილობრივი ჯებეჯიების ჯამაათიდან — ჯარისკაცები — 100. დღეში — 1140.

---

[22] 1141 წლის 29 საფარი — 4. 10. 1728.

[1] მაჰმუდ ხანი, შაჰი ძე მუსტაფასი — სულთან მაჰმუდ I (1730—1754).

[2] 1140 წელი — 19. 8. 1717 — 6. 8. 1728.

[3] 1143 წელი — 17. 7. 1730 — 5. 7. 1831.

ადგილობრივი თოფჩიების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

გონულიანი იემინის ჯამაათიდან ჯარისკაცები — 300, დღეში — 4740 (ახჩა).

გონულიანი იესარის ჯამაათიდან ჯარისკაცები — 300, დღეში — 4740 (ახჩა).

ადგილობრივი მეყუმბარეების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 20, დღეში — 590.

მუსტაფაზების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 200, დღეში — 2200 (ახჩა).

პირველი აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 200, დღეში — 2200 (ახჩა).

მეორე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 200, დღეში — 2200 (ახჩა).

მესამე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეოთხე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეხუთე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეექვსე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში 1140 (ახჩა).

მეშვიდე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მერვე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეცხრე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეათე აზაბების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 100, დღეში — 1140 (ახჩა).

მეკარეების ჯამაათიდან ჯარისკაცები — 15, დღეში — 375 (ახჩა).

ადგილობრივი მუსიკოსების (მიჰთერების) ჯამაათიდან ჯარისკაცები — 20, დღეში — 302 (ახჩა).

ციხის მშენებლობის ჯარისკაცთა ჯამაათიდან — ჯარისკაცები — 20, დღეში — 280.

ჯამი: ჯარისკაცები: 2277
100
2377

დღეში: 29117
1212

30329 ადგილობრივი იანიჩრები.

წელიწადში: ახჩა: 10736466.

ყურუში ესედით დაანგარიშებული: 89470,5 (და) — 2 ფარა. თითოეული 160 (ახჩაა).

ერევნის ციხის დასაცავად საჭიროა 30329 ახჩა დღიურით 2377 ჯარისკაცის ჩაწერა. ამის სანაცვლო ჩაეწეროს ერევნის ხაზინას და ადამიანების დავთარში ჩასაწერად ეს ახლი გაიცა. 1143 წლის 24 რები ულ-ახირი[4].

მეჰმედი.

№ 66

პატივცემულო დევთერდარ ეფენდი, იმატოს მისმა სიდიადემ, თელხისის თანახმად დანახარჯი ხსენებული ერევნის ხაზინის ფინანსების მესვეურს სამართლიანად გადახდეს და ხარჯი მირის დავთარში ჩაიწეროს, ბრძანება. (1)144 წლის 8 რეჯები[1].

ერევნის ციხისათვის საჭირო დანახარჯების დავთარი ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან 1144 წლის მიწურულამდე[2].

მუშის ხელფასისა და სხვა ხარჯებისათვის, დანგრეული კედლისა და მისთანა მცირე შეკეთებების, გარემონტების, აშენებისა და რაიონში სხვა საჭიროებათა შესახებ 12 ჯემაზი ულ-ეველს[3] ხსენებული თვის მიწურულამდე.

ოსტატი — 246 კაცი, თითოეულს 40-40 ახჩა. ახჩა — 9840.
ირგადი (ფიზიკურად მომუშავე) — 1313 ჯარისკაცი, თითოეულს 24-24 ახჩა.
ახჩა — 31536.
კედლის მხარეს ქვის ბორცვის (გაწმენდა) — 30, ახჩა — 720.

---

[4] 1143 წლის 24 რები ულ-ახირი — 6. 11. 1730.

[1] 144 წლის 8 რეჯები — 6. 1. 1732.

[2] ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან 1144 წლის მიწურულამდე — 1. 11. 1731 წლიდან 23. 6. 1732.

[3] 12 ჯემაზი ულ-ეველი — 12. 11. 1731.

მუშის ხელფასის, სხვა ხარჯების, დიდი საჯინიბოსა და აქლემის სადგომების საჭირო მშენებლობებისა და შეკეთების შესახებ. ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან[4] ხსენებული თვის მიწურულამდე:

ოსტატი — 407 კაცი, თითოეულს 40-40 (ახჩა), ახჩა — 16280.
ირგადი (ფიზიკურად მომუშავე) — 2538 კაცი, თითოეულს 24-24 (ახჩა).
ახჩა — 58912.
სხვადასხვა სახის ლურსმნის, ჩასაკეტის, კანჭისა და სხვათა შესახებ.
ახჩა — 2340.

მუშის ხელფასისა და სხვა ხარჯების შესახებ, საგუშაგოსა და ხანდაკის ჯარისკაცების შესახებ ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან ხსენებული თვის 7-მდე[5].

ოსტატი — 24 კაცი. ახჩა — 960.
ირგადი (ფიზიკურად მომუშავე) — 192. ახჩა — 3456.
ჩასაკეტის, ლურსმნის, რგოლის, კანჩოსა და გასაღების თანხის შესახებ: ახჩა — 1200.

მუშებისა და სხვა ხარჯების შესახებ, საგუშაგოსა და ყუმბარაჯიების შესახებ 16 ჯემაზი ულ-ეველიდან ხსენებული თვის 21-მდე[6].

ოსტატი — 18 კაცი. ახჩა — 848.
ირგადი (ფიზიკურად მომუშავე) — 78, ახჩა — 1848.
სხვადასხვა სახის ლურსმნის, ხის, ჩასაკეტის, კანჭისა და გასაღების, მოსაჭერის თანხა — 1000 ახჩა.

მუშის ხელფასის, სასახლეში სამზარეულოს შესაკეთებელი ხარჯებისა და სხვა ხარჯების, ლევენდების საზამთრო სადგომის შეკეთების შესახებ ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან ხსენებული თვის 11-მდე[7].
ოსტატი — 18 კაცი, ახჩა — 720.
შებათქაშე — 18 კაცი, ახჩა — 720.

---

[4] ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისი — 1. 11. 1731.
[5] ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან ხსენებული თვის 7-მდე — 1. 12.-დან 7. 12. 1731 წლამდე.
[6] 16 ჯემაზი ულ-ეველიდან ხსენებული თვის 21-მდე — 16. 11.-დან 21. 11. 1731 წ.
[7] ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისიდან 11-მდე — 1. 12.-დან 11. 12. 1731 წლამდე.

ირგადი (ფიზიკურად მომუშავე) — 130 კაცი, ახჩა — 1950.
სხვადასხვა სახის ლურსმნის, ჩასაკეტის, ქანჩის, რგოლისა და „კრუჩოკის" თანხა — 350 ახჩა.

ჯამი — 132680 ახჩა. ყურუშით დაანგარიშებული — 1105.

ახჩა — 80.

თქვენი მონა-მორჩილის მარუზა ისაა, რომ ერევნის ციხის დანგრეული კედლის და მასთან მიმდებარე ადგილის შეკეთება აუცილებლად საჭიროა. მიუხედავად იმისა, რომ მსუბუქი (მცირე) შეკეთება დასჭირდა, სასახლის დიდ საჯინიბოში აქლემის საჯინიბოსაც სჭირდება შეკეთება. მის ასაშენებლად, სამზარეულოს, ლევენდების გამოსაზამთრებელი სადგომის გასარემონტებლად და ორი საგუშაგოს ასაშენებლად ხარჯები როდესაც დაიანგარიშეს, 132680 ახჩას მიაღწია. ყურუშით დაანგარიშებული 1105 ყურუში (და) 80 ახჩა შეადგინა. სახელმწიფოს მესვეურებმა გასაცემი თანხა გვიწყალობეს. როდესაც ეს სახელმწიფოსათვის ცნობილი და ნათელი გახდება, ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

№ 67

ხელახლა იქნეს შემოწმებული.

პროდუქტების ჩაბარების, გაყიდვის, მიღების ანგარიშის დავთარი, თოფ კარა ალაჯის, გორის, ჰალაბირისა და თბილისის ციხეების დასაცავად დანიშნული ძლევამოსილი ლაშქრის შესახებ, რომელიც ჩილდირის ეიალეთიდან თიმუ კარა ბეგი მეჰმედ ალის მარიფათით გაიყიდა, თბილისში გაიგზავნა და თბილისის დევთერდარს ჩაბარდა 1144 წელს[1] ბრძანებით.

გაყიდვის ფირმანით ისტანბულის ქილა — 30 000.

ქერი ისტანბულის ქილა — 120000.

სინამდვილეში მიღებულია ხსენებული მუბაშირისაგან სახელმწიფო ხაზინიდან — ყურუში ესედი 75 000.

გაიგზავნა 1144 წლის 9 ზილ-კაადეს[2]. გაიგზავნა 1144 წლის 5 ზილ-კაადეს[3] პროდუქტების თანხები, რომელიც საჭიროებისათვის დაინიშნა იანიჩართა, ჯებეჯიებისა და თოფჩიებისათვის. ყურუში ესედი 51111.

---

[1] 1144 წელი — 6. 7. 1731 — 23. 6. 1732.
[2] 1144 წლის 9 ზილ-კაადე — 4. 5. 1732.
[3] 1144 წლის 5 ზილ-კაადე — 30. 4. 1732.

სარგო მეჰმედ აღას ხელით ებოძა აღათა უდიდებულესობის წარჩინებულ ალის 1144 წლის 25 შევალს[4].

გაიგზავნა 25 რამაზანს 1144 წლისა[5] არასაკმაო თანხა და ხელფასი პროდუქტების შესავსებად და დაინიშნა. ყურუში ესედი 25 000. სარგო გადაიკვეთა აბდურაჰმან ბეგ მირზა ფაშა ზადეს მიერ.

დაუსაბამო ხარჯები ყურუში ესედი 75 000.

გაიყიდა.

ერთი სომარი ხორბალი ჩაწერილია 300. ერთი სომარი ფქვილის ფასი ჩაწერილია — 420, ერთი სომარი ქერისა — 240 ახჩაა. თბილისის ყადის ხსენებული მევლანას მიერ გაცემული სასამართლო ჰუჯეთი სახეზეა.

ხორბლის, ფქვილის, ქერის თანხა, რომლებიც თბილისის ეიალეთში გასაყიდად გაიგზავნა, თბილისის ყადის მევლანას ჰუჯეთის შარიათის თანახმად, გაიყიდა ახჩა 8821111, ყურუში ესედით დაანგარიშებული 73511.

ხორბლის თანხა სომარი 1723, ქილა 7292, ახჩა 546 911. დიდებული ჰუჯეთის თანახმად თითოეული ქერი 300 ახჩაა. თითოეული ქილა 75 ახჩაა, ფქვილის ფასი — 5827, ქილა — 223468, ახჩა — 2464141, დიდებული ჰუჯეთის თანახმად, თითოეული ქერის ღირებულება 420 ახჩაა. თითოეული ქილა 105 ახჩაა. ქერის თანხა სომარობით — 24204, ქილა — 96812, ახჩა — 5808960. შარიათის ჰუჯეთის თანახმად, თითოეული ქერი 240 ახჩაა, თითოეული ქილა 60 ახჩაა.

№ 68

ის (ალაჰი) შეეწიოს

თუღრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე[1], მუდამ გამარჯვებული.

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის, ალაი ბეგი ალის, იმატოს მისმა ძლიერებამ, 1139 წლისათვის[2] ვალდებულება დაანგარიშებინა. ზემოხსენებულის ვალდებულებას შეადგენდა ხუდავენდიგიარისა და კარასის სანჯაყებში არსებული ჯებელიანებისა და პენსიონერების ადგილობრივი ჯებელიების ახჩების დაანგარიშება. ამჟამად აფხაზეთის სანაპიროზე მდებარე ფოთის ციხის 258 ადგილობ-

[4] 1144 წლის 25 შევალი — 21. 4. 1732.

[5] 1144 წლის 25 რამაზანი — 23. 3. 1732.

[1] აჰმედ შაჰი — სულთან აჰმედ III (1703—1730).

[2] 1139 წელი — 29. 8. 1726 — 18. 8. 1727.

რივი ჯარისკაცების დღიურების 3665 ახჩას გადახდა. 1139 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზემოხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე[3] 354 დღიდან ზემოხსენებული ჯარისკაცებისათვის აღნიშნული თანხა საკმარისია და მათთვის განკუთვნილი თანხა, 1139 წლისათვის აღნიშნული სანჯაყებში მდებარე ჯებელიანებისა და პენსიონერების ადგილობრივი ჯებელიების ფინანსებიდან დაინიშნა ორი იუქი და 40 000 ახჩა, რომლის ყოველი ყურუში 120 ახჩას აღწევს. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 2000 ესედი ყურუშია. ზემოხსენებულთა აღნიშნული თანხა 1139 წლის შევალის თვის 8[4]-დან ზემოხსენებულ ციხეში მშენებლობის ემინის მეჰმედის, იმატოს მისმა სიძლიერემ, მეჰმედის მხრიდან მუჰამედის ხელით, ჩემი ბედნიერების დედაქალაქში ჩემი სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იყოს რეგისტრირებული. საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა 18 შევალს 1139 წლისა[5] ღვთივდაცულ კონსტანტინიეში.

სებები თაჰრირში აღნიშნულის მიხედვით, 740 ყურუში აიღე. 22 ჯემაზი ულ-ახირი, წელი 139, დღე კვირა[6]. 316 ყურუში ბაშ-ბაკი აღა!ა უდიდებულესობის ჩოკდარი იბრაჰიმის ხელით იქნა ჩაბარებული. 8 მუჰარემი, 140 წელი[7]. დღე ოთხშაბათი.

140 ყურუში ავიღე, 7 საფარი, 140 წელი[8].

ყურუში — 740, სალიანე — 316, შესაბამისი ადგილი.

140 — ახალი დავთარი.

ველზე გაკეთებული მინაწერის მიხედვით, სახელმწიფო დავთრიდან აღებულ იქნა თანხა ჯებელიანებისათვის. ზემოხსენებული ლივადან 139 წელი. ჯარისკაცები ხუდავენდიგიარის ლივაში.

101	0,5	კარასის ლივა
150		გარდაიცვალა და ხაზინას ჩაბარდა
——		ზედმეტი მომატებული ხარჯი დავთრიდან
152		ყოველ ჯარისკაცს ყურუში 40
20		
122		

[3] 1139 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 29. 8. 1726— 18. 8. 1727.

[4] 1139 წლის 8 შევალი — 28. 5. 1727.

[5] 1139 წლის 18 შევალი — 7. 6. 1727.

[6] 1139 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირი — 14. 2. 1727.

[7] 1140 წლის 8 მუჰარემი — 26. 8. 1727.

[8] 1140 წლის 7 საფარი — 24. 9. 1727.

20

92
15

---

107 ყურუში ესედი — 4240
ყურუში ესედი მისასალმებლად

2884
1396

4280

ჯარისკაცების სარგო ფოთის ადგილობრივი ჯარისკაცებისათვის ყურუში — 2000 ღერბიან დოკუმენტზე მითითებულია 1196
8081

